ჩემს მკითხველებს მივმართავ და, მგონია, რომ მივმართავ, სულ ცოტა, ნახევარ საქართველოს. ქართველები, რომ იტყვიან, მკვდარი ვართ, სწორედ ასეთი განწყობილება დამეუფლა.

„არის მომენტები და პერიოდები ერის ცხოვრებაში, როდესაც ნამდვილი მამულიშვილი, კაცი, რომელიც თავისი ერის შვილად სთვლის თავს, ვალდებულია ოროიოდე სიტყვა უთხრას ხალხს.

მოგმართავთ იმ იმედით, რომ ვისაც ჩემი მცირედი ნდობა და პატივისცემა აქვს, იქნება შეიგნოს ჩემი სათქმელი. რაც მოხდა, რისი გულისთვისაც მოხდა, ვინ, რომელი მხარე რაშია დამნაშავე, რაში ვართ დამნაშავე ყოველი ჩვენგანი, ეს უახლოეს ხანს გამოირკვევა, უფრო გვიან, უფრო დიდი სიზუსტით დადგინდება ჭეშმარიტება და, ვიმედოვნებ, ქართველი ერის ისტორიას შემორჩება ეს სისხლიანი ეპიზოდი, როგორც უდიდესი შეცდომისა და ხალხის უსინდისო მოტყუების მაგალითი.

დღეს ამისთვის არც პრესას სცალია, არც მე, მა, მართალი გითხრათ, ახლა ანალიზის თავი არცა მაქვს, თუმცა ამას როდისმე გავაკეთებ, გამოვაქვეყნებ... ახლა მე სულ სხვა თემაზე მინდა ვილაპარაკო: უნდა ვილაპარაკო ის საშიშროებაზე, რომელიც ჩვენს ერს და თბილისს, მის მოქალაქეებსა და მცხოვრებლებს ახლო მომავალში. ელით, თუ თავს არ ვუთხარით დამწყნარებელი, სიმშვიდისმომგვრელი და ღირსების შემანარჩუნებელი ოროიოდე სიტყვა. ხელისუფლება სამხედროების ხელშია, როდესაც კომენდანტის საათი ცხადდება, ეს ნიშნავს, რომ სამართალდამცველი ორგანოები და ჯარის ნაწილები ხელმძღვანელობენ არა კანონით, არამედ საჭიროებით. მე მგონი, კმარა ის, რაც ჩვენმა მცირერიცხოვანმა ერმა დაკარგა გუშინწინ, გუშინ... ნუღარ გავზრდით მსხვერპლს, მოვეკიდოთ საქმეს გონებით, თავშეკავებით, მომავლის იმედით.

მეგობრებო, ჩვენ ობოლი ერი ვართ, არ გვაყვს ნათესავი მსოფლიოში, ქართველობა არსად არ არის გაბნეული, ჩვენ ჩვენი კერის მოსიყვარულე ერი ვართ. დავიხსომოთ ისიც, რომ კაცობრობის ისტორიაში არ არსებულა ხელისუფლება, რომელსაც უპატიებია ვინმესთვის განზრახვა — დაამხოს არსებული ხელისუფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლებას, სამხედრო ხელისუფლების სახით.

ჩვენ მშვენიერი ახალგაზრდობა გვყავს, ვიცი, რომ მთელი საქართველო გლოვობს, მაგრამ მთელი საქართველო მჯიღს იცემს მკერდში. კეთილგონიერება მოითხოვს ყველაფრისაგან შეიკავოთ თავი, ნურავინ დადგება იმის იმედად, რომ ვინმეს რამეს შეარჩენენ. ისინი, ვინც დაიღუპა, ან უკვე შვილების პატრონნი იყო, ან მომავალში უნდა შეემატებინა ჩვენი ერისთვის შვილები, მაშასადამე — ერის მომავალი.

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს. ჩვენ უნდა შევიგნოთ ეს. ლაგამი ამოვდოთ ჩვენს ტემპერამენტსა და გზნებას, ჭორის დონეზე ლაპარაკი არ მინდა, რაც ნამდვილად ვიცი, იმას ვიტყვი: თუ თვითონ მოქალაქეებმა, ახალგაზრდობამ არაფრით გამოიწვია საჯარისო პატრულების წყრომა, შეურაცხყოფა იქნება ეს, ქვის სროლა, სტვენა, მანქანების გრიალი, ცხვირწინ დროშის ფრიალი, საერთოდ გამომწვევი საქციელი, პატრული პასუხს არ გასცემს. ნუ გავამწვავებთ მდგომარეობას, არაფერს მოგვცემს ჩვენ კიდევ ასი, თუნდაც ერთი მოკლული. ეს საზიანოა ერის ინტერესებისათვის.

ყოველ კაცს, თავისი რაიმე დასკვნა ან შეხედულება შეიძლება მრავალგზის შემოწმებულად და სწორად მიაჩნდეს, მაგრამ სანამ რაიმე ნაბიჯს გადავდგამდეთ, უნდა ჩავიხედოთ ჩვენს სულში, ხომ არ შეიცავს პირადულსა და თავკერძულ ელემენტს, ხომ არ შეიცავს წყროსასა და ბოღმას. ყოველივე ეს სიბრძნის ამხანაგი და მეგობარი არ არის, ეს სიბრძნის წინააღმდეგია. სანამ გადავდგამდეთ ნაბიჯს, მეგობრებო, მოვზომოთ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. ჩვენ საქციელზეა დამოკიდებული, როდის დატოვებენ თბილისს ტანკები და სხვა სამხედრო მანქანები და სამხედრო მოსამსახურეები, ჩვენზე ჰკიდია, როდის მივაღწევთ მშვიდობიან ცხოვრებას მომავლის იმედად.

ზურაბ ავალიშვილს წიგნს, რომელსაც „საქართველოს დამოუკიდებლობა“ ჰქვია, წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად, „საქართველოს აღსრულებულია ხსოვნისთვის, მომავალთა იმედად“.

ვიყოთ კეთილგონიერნი, არც ჩვენით იწყება ქართველი ერი, ნურც დავამთავრებთ ჩვენით — ამის უფლება ჩვენს წინაპრებს არ მოუციათ. ამისთვის პასუხისმგებლები ვართ ჩვენი მომავალი თაობების წინაშე.

ჭკუით, ქართველებო!

ზაბუა ამირეჯიბი.

რეპორტაჟი საავადმყოფოდან

თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფო. მთავარი ექიმის მოადგილის ვახტანგ ჭკადუას კაბინეტი. აქ შევიტყვეთ, რომ 9 აპრილს გამთენიისას, 4 საათსა და 25 წუთზე, სასწრაფო დახმარების მანქანებმა მოიყვანეს მთავრობის სასახლის წინ მიტინგის მონაწილე დაჭრილები, რომელთა რიცხვი ერთ საათში 64-ით გაიზარდა.

სასწრაფოდ აამოქმედეს რეზერვები, ავადმყოფები მიიღეს პირველი ქირურგიის, მე-2 ქირურგიის, გულმკერდის ქირურგიის, ტრავმატოლოგიისა და მიკროქირურგიის განყოფილებებმა.

პირველ საათებშივე დაიღუპა 14 ადამიანი, შემდგომ კიდევ ორი გარდაიცვალა. ამჟერად ექიმები უღონონი აღმოჩნდნენ სიცოცხლისათვის ბრძოლაში.

რეანიმაციის განყოფილებაში მოთავსეს ექვსი: ცაცო ქურდიანი — 19 წლის სტუდენტი, უგონოდ მყოფი. მალე მომჯობინდა და გონს მოვიდა.

თეონა ბოლქვაძე-ფერაძისა — 47 წლის მანდილოსანი, უგონოდ მოიყვანეს. ექიმთა დიდი მეცადინეობით გონს მოვიდა, მაგრამ ჯერ კიდევ აღენიშნება მეხსიერების დაქვეითება. მკურნალობა წარმატებით მიმდინარეობს.

ასეთივე კარგი შედეგები აქვს 40 წლის მანდილოსან დალი ყანჩაველის მკურნალობასაც.

23 წლის მანანა მაისურაძეც მალე გამოვიდა მდგომარეობიდან და 10 აპრილს გაეწერა კიდევ საავადმყოფოდან.

თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლე, 16 წლის ნათია ბაშალეიშვილი და 23 წლის მანანა მელქაძე უმძიმეს მდგომარეობაში არიან. აქვთ მოწამვლის ნიშნები. რამდენჯერმე გამოსტაცეს ისინი კლინიკურ სიკვდილს, ხელოვნურ სუნთქვაზე არიან გადაყვანილები, ექიმები იბრძვიან მათი გადარჩენისათვის, მაგრამ იმედი ნაკლები აქვთ, ასე ფიქრობს განყოფილების გამგე იგორ ურუშაძე. წერილი დაწერილი გვქონდა, როცა მოვიდა ცნობა, რომ გარდაიცვალა მანანა მელქაძე.

გულდამძიმებული ვტოვებთ რეანიმაციულ განყოფილებას, სადაც ყველაზე ნათლად იგრძნობა ტრაგედიის სიმძაფრე.

მე-2 ქირურგიული განყოფილება. 25 წლის არგვეთელ ზაალ აბაშიძეს თხემის არეში ჰქონდა ჭრილობა, გაუკერეს, მომჯობინება და კარგად ყოფნა რომ შეენიშნეთ, შეეკითხეთ: — როგორ ფიქრობთ, თქვენი გამოსვლა მთავრობის სახლის წინ გამართლებულია, ასეთი უაზრო მსხვერპლის გალება საჭირო იყო?

— ჩვენ არ ვიბრძოდით, გგეგონა ხმამაღლა შეგვეძლო ჩვენი სურვილების გამოთქმა, თუ რეგ შევმცდარვართ. თვით პატრიარქ ილია მეორის თხოვნასა და გაფრთხილებასაც იმიტომ არ ვუგდეთ ყური, რომ არ მოველოდით დამსხდარ, უიარაღო ახალგაზრდებს გაგვიმეტებდნენ.

ამავეს ამბობენ პოლიტეკნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გია ჭეიშვილი, ქალთა განყოფილების ავადმყოფები ცაცინო ზივზივაძე და ნინო კობახიძე.

მე-2 ქირურგიულ განყოფილებაში სულ 15 ავადმყოფი დაიწვინეს, 2 უკვე გამოჯანმრთელდა და გაეწერა. გია ჭეიშვილი დადაიყვანეს რესპუბლიკური საავადმყოფოში, დანარჩენი 12 მკურნალობს, მალე ისინიც ჯანმრთელნი დატოვებენ საავადმყოფოს. ექიმები არა მარტო პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ კეთილსინდისიერად, არამედ სათუთი მშობლიური მზრუნველობითაც დასტრიალებენ თავს ახალგაზრდებს და ყველაფერს ლონობენ მათი გამოჯანმრთელებისათვის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 64 ავადმყოფიდან 11 აპრილისათვის მხოლოდ 31 იწვა საავადმყოფოში, მათი უმეტესობაც უახლოეს ხანში — 2-3 დღეში გაეწერება აქედან.

ნორა ნორაკიძე.

ი ა რ ა

გული საგულეში აღარა მაქვს, ცრემლები ქაღალდს მისველებს. რა მოხდა? მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. მართალია, გამოჭქონდათ მიუღებელი ლოზუნგები, გიგონებდით მცდარსა და გულუბრყვილო მოწოდებებს, მაგრამ მიტინგი ხომ მაინც მშვიდობიანი იყო?

ის, რაც მოხდა, ჩვენს სრულ უსუსურობაზე მეტყველებს, ვერ შეეძელით მშვიდობიანი მეთოდების გამოყენება. ამიტომ ყველანი დამნაშავე ვართ მეტ-ნაკლებად.

ახლა აუცილებელია ვიფიქროთ მომავალ ცხოვრებაზე, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ მსგავსი რამ არასოდეს განმეორდეს.

ჩვენო ახალგაზრდობავ! თქვენ, მოგმართავთ ნაიარები გულით, — როგორ ფიქრობთ, თქვენი გამოსვლა მთავრობის სახლის წინ გამართლებულია, ასეთი უაზრო მსხვერპლის გალება საჭირო იყო?

— ჩვენ არ ვიბრძოდით, გგეგონა ხმამაღლა შეგვეძლო ჩვენი სურვილების გამოთქმა, თუ რეგ შევმცდარვართ. თვით პატრიარქ ილია მეორის თხოვნასა და გაფრთხილებასაც იმიტომ არ ვუგდეთ ყური, რომ არ მოველოდით დამსხდარ, უიარაღო ახალგაზრდებს გაგვიმეტებდნენ.

ამავეს ამბობენ პოლიტეკნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გია ჭეიშვილი, ქალთა განყოფილების ავადმყოფები ცაცინო ზივზივაძე და ნინო კობახიძე.

მე-2 ქირურგიულ განყოფილებაში სულ 15 ავადმყოფი დაიწვინეს, 2 უკვე გამოჯანმრთელდა და გაეწერა. გია ჭეიშვილი დადაიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დანარჩენი 12 მკურნალობს, მალე ისინიც ჯანმრთელნი დატოვებენ საავადმყოფოს. ექიმები არა მარტო პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ კეთილსინდისიერად, არამედ სათუთი მშობლიური მზრუნველობითაც დასტრიალებენ თავს ახალგაზრდებს და ყველაფერს ლონობენ მათი გამოჯანმრთელებისათვის. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 64 ავადმყოფიდან 11 აპრილისათვის მხოლოდ 31 იწვა საავადმყოფოში, მათი უმეტესობაც უახლოეს ხანში — 2-3 დღეში გაეწერება აქედან.

ნორა ნორაკიძე.

გუშინ რესპუბლიკაში

10 აპრილს ვითარება კვლავ დაძაბული და რთული იყო, განსაკუთრებით თბილისში. ზოგიერთი სამეწველო საწარმო, მათ შორის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვა“, თბილისის საწარმოო გაერთიანებები „ჩარხმშენებელი“, „ბახტრიონი“, „ისანი“, კმვოლმაუდის კომბინატი, გრეხილი ავეჯის კომბინატი და მთელი რიგი სხვა საწარმოები არ მუშაობდნენ. ზოგან სამუშაოდ გამოვიდა მუშათა 40-70 პროცენტი. იყო მუშათა მიმართ მუქარის შემთხვევები. მაგალითად, საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის ფილიალში, 26 კომისრის რაიონში, სადაც ძირითადად ქალები მუშაობენ, შეიკრა 50-ზე მეტი ყმაწვილი, და ანგარიშსწორების მუქარით აიძულეს ისინი გაეჩერებინათ წარმოება. მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ მუშაობა განახლდა. როგორც ფაბრიკის დირექტორმა ეკატერინე ტაბატაძემ გვაცნობა, საწარმო ნორმალურად მუშაობს.

არ გამართულა მეცადინეობა თბილისის მეტ წილ უმაღლეს სასწავლებლებსა და ზოგიერთ საშუალო სკოლაში. მშობლებს შეეშინდათ განუკვრეტელი სიტუაციებისა და შინიდან არ გამოუშვეს ბავშვები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი, რომელიც მოუწოდებს მათ დაიცვან წესრიგი და დისციპლინა, გამოიჩინონ კეთილგონიერება.

ქალაქში გაკრულია ხელითნაწერი ფურცლები. ტელევიზით, რადიოთი და პრესაში მედიცინის მუშაკების არაერთგზის გამოსვლის მიუხედავად, სამწუხაროდ, კვლავ ვრცელდება ყველაზე დაუჯერებელი ხმები ასობით დაღუპულის, მომხდარი ამბების შესახებ სიმართლის დამალვის თაობაზე. სხვადასხვა ადგილას იკრიბებიან ადამიანები სამგლოვიარო სიმბოლოკით. დღეს გზებზე ქვეყნდება ოფიციალური მონაცემები ყველა დაღუპულის შესახებ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს მონაცემებით, 11 აპრილის დილის 11 საათისათვის მოგვარდა საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა. ხაზებზე გამოვიდა 379 ავტობუსი, 142 მიკროავტობუსი, 78 ტროლეიბუსი, 42 ტრამვაი. სულ ხაზებზე მანქანების რაოდენობამ 641 ერთეულს მიაღწია. გარდა ამისა, სამუშაოდ გამოვიდა საიჯარო ტაქსების 1000 და ტაქსმოტორის პარკების 402 მძღოლი.

12 საათისა და 30 წუთისათვის სატრანსპორტო საშუალებებმა იწყეს დაბრუნება პარკებსა და გარაჟებში. ამის მიზეზი იყო ახალგაზრდობის რამდენიმე ჯგუფის აგრესიული ქცევა — ისინი ემუქრებიან მძღოლებს, ფოტოსურათებს უღებენ მათ, რამდენიმე კაცს სცემეს. სცემეს აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რამდენიმე მუშაკს, რომლებიც ახლდნენ მანქანებს ხაზებზე.

გამოვლინდა ადგილები, სადაც განსაკუთრებით უშლიან ხელს სატრანსპორტო საშუალებათა მუშაობას. ეს არის გზირებები მეტროს სადგურ „ოქტომბერთან“ და „ვარკეთილთან“, ვარკეთილისა და ვაზიანების მიკრორაიონებში, წერეთლის პროსპექტზე, ფოლადთუჯსამსმელო ქარხანასთან, კონიაკის ქარხანასთან. გამწვავდა სიტუაცია გაჩერებებზე თბილისის გაერთიანება „ჩარხმშენებელთან“, საწარმოო გაერთიანება „ისანის“ შესახვევთან, ჭიჭინაძის ქუჩაზე — „საქჰიდრორეფერგომშენის“ შენობასთან და სხვა ადგილებში.

როგორც ცნობილია, 9 და 10 აპრილს ქალაქში ჯარკვეული სიძნელეები შეიქმნა პურის, პირველი საჭიროების სხვა სასურსათო საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებით.

— ამჟამად ვითარება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, — თქვა საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრმა ლონგინოზ ზაქაიძემ. — აღვნიშნავ, რომ ამჟამად ვაცხობთ და რესპუბლიკის დედაქალაქის მაღაზიებში შეგვაქვს გაცილებით მეტი პური, ვიდრე წინათ. მაგალითად, თუ ჩვეულებრივ დღეებში პურის სადღეღამისო რაოდენობა საშუალოდ 380 ტონას შეადგენდა, მარტო 11 აპრილს მაღაზიებმა მიიღეს 414 ტონა პური. ამ დონეს შევინარჩუნებთ, სანამ მოთხოვნა სტაბილიზებული არ იქნება უწინდელ დონეზე.

როგორც ვხედავთ, პანიკის მიზეზები არ არის. მაგრამ უეცრად დეფიციტური აღმოჩნდა ისეთი ნაწარმიც, როგორიც არის ფქვილი, მაკარონი, ყოველდღიური მოთხოვნის სხვა ნაწარმი.

— ამ პროდუქციასაც მაღაზიებში ამჟამად უფრო მეტს ვგზავნით, ვიდრე ჩვეულებრივ, — თქვა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა ვაჟა ჯინჯიხაძემ. — ჩვენმა დარგმა, რომელსაც საკმაო სასაქონლო რესურსები აქვს, ერთიორად გაზარდა მაკარონეულის გაყიდვა, ერთ-ნახევარჯერ — ფქვილისა. მინდა აღვნიშნო, რომ მაღაზიებში პროდუქტის მიწოდების შეფერხებები წარმოიქმნა იმიტომ, რომ კომენდანტის საათის შემოღებისას ვერ მოვასწარით მოგვემზადებინა საშვები მანქანებისათვის, რომლებსაც ღამღამობით დაიქვეთ სასურსათო პროდუქტები სავაჭრო ობიექტებში. ამჟამად ეს საკითხი გადაწყვეტილია.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მშრომელებმა აღკვეთეს არაფორმალური გაერთიანებების მიერ მიტინგების გამართვის ცდები.

სამხედრო კომენდანტის ცნობა

სამხედრო კომენდანტის სამმართველო იუწყება, რომ ქალაქ თბილისში ვითარებას აკონტროლებენ საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოები და ჯარები.

განვლილი დღე-ღამის განმავლობაში (10 აპრილის დილიდან 11 აპრილის დილამდე) თავი იჩინა ცენტრიდან მიკრორაიონებში მართლსაწინააღმდეგო მოქმედების გავრცელების ტენდენციამ. აღინიშნება ანტისაზოგადოებრივი ელემენტების ცდები ხელი შეუშალონ მთელი რიგი საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე გამოსვლას: არის შემთხვევები, როცა ემუქრებიან სამხედრო მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს, ვრცელდება გაუმართლებელი ხმები.

კომენდანტის საათის მოქმედების დროს დაკავებულია და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისათვის გადაცემულია 464 კაცი, რომლებმაც დარღვიეს დადგენილი რეჟიმი. ჩამორთმეულია 8 ერთეული ცივი იარაღი.

10 აპრილს ღამით ვითარება თბილისში საერთოდ მშვიდი იყო. მეტ წილ რაიონებში განუხრელად იცავდნენ დადგენილი რეჟიმის მოთხოვნებს. მაგრამ მთელ რიგ ადგილებში სცადეს დაერღვიათ სამხედრო კომენდანტის მიერ დადგენილი წესრიგი. მაგალითად, რკინიგზის სადგურში, რომელიც მეტრო „ისანთან“ მდებარეობს, მოხულიგნე ახალგაზრდების ჯგუფმა ქვა დაუშინა სამანევრო თბომავლებს. გლდანის რაიონში ცალკეული მოქალაქეები პირადი ავტომანქანებით დადიოდნენ.

თბილისი, 11 აპრილი — გლოვის დღე.

ფელიქს კრივსკის („კომუნისტი“) ფოტო.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გვატყობინებს

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, 9 აპრილს მიტინგის დაშლის დროს ადგილზე დაიღუპნენ შემდეგი მოქალაქეები:

ალამია აზა რაულის ასული, 22 წლისა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი (გეგეჭკორის რაიონი),

ბექანიშვილი ეკა თამაზის ასული, 16 წლისა, კომაროვის სახელობის სკოლის X კლასის მოსწავლე (თბილისი),

ბერორაძე ნატო ალექსის ასული, 23 წლისა (ჩოხატაურის რაიონი),

დოლიძე თამუნა გრიგოლის ასული, 28 წლისა (თბილისი),

ენუქიძე თინა სევერიანეს ასული, 70 წლისა (თბილისი),

თოლიძე ნინო შუქრის ასული, 25 წლისა, ჩაის სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების თანამშრომელი (მახარაძის რაიონი),

კიკვიძე ზაირა აბელის ასული, 61 წლისა, კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი (თბილისი),

ლოლაძე მანანა ლევანის ასული, 33 წლისა (თბილისი),

მამულაშვილი თამარ ივანეს ასული, 50 წლისა (თბილისი),

ნოზაძე მამუკა გივის ძე, 22 წლისა (ლაგოდეხის რაიონი),

სამარგულიანი ნანა ალექსანდრეს ასული, 30 წლისა (თბილისი),

სამარგულიანი-ჟეონია მარინე ტრისტანის ასული, 35 წლისა (თბილისი),

ჟიპაშვილი ელისო გიორგის ასული, 25 წლისა, რესპუბლიკური საავადმყოფოს სანიტარი (თბილისი),

ჭოველიძე თამარ არკადის ასული, 16 წლისა, 51-ე სკოლის მოსწავლე (თბილისი),

ჯანბირაშვილი ნოდარ შოთას ძე, 40 წლისა, სპორტკლუბ „სინ

უკუღმართში

საკვლევი იუნყება

11 აპრილი

◆ პოლონეთი

„მრგვალ მაგიდასთან“ მორიგებათა გზით

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ინიციატივით „მრგვალ მაგიდასთან“ გამართული მოლაპარაკების შედეგად დადებული ხელშეკრულება ქვეყნის ძირითად საზოგადოებრივ ძალებს შორის განმტკიცებს პოლონეთში რეფორმების მომხრეთა ბანაკს, ქმნის რადიკალურ ცვლილებათა დაჩქარების შესაძლებლობებს, რომელთა მიზანია ახალი ეკონომიკური წყობილების შექმნა მთელი მოსახლეობის ინტერესებისათვის.

ეს აზრი განსაკუთრებით ხაზგასმულია აქ გავრცელებულ ცნობაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომის შესახებ, რომელსაც მ. რაკოვსკი თავმჯდომარეობდა. „მრგვალი მაგიდის“ მორიგებები ემთხვევა ძირითად მიზნებსა და მთავრობის პროგრამის უკვე განხორციელებულ დებულებებს. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს მიღწეული შეთანხმებები.

„მრგვალ მაგიდასთან“ გამართული მოლაპარაკებების წარმატების პირობაა ყველა მხარის მიერ მიღწეულ მორიგებათა ზუსტი დაცვა, მათი ურთიერთმოქმედება და ერთობლივად მიღებული პრინციპების პატივისცემა, აღნიშნულია ცხობაში. მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა საქმიანობის წესი შეთანხმების ცალეული დებულებების განხორციელების მიზნით. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კომიტეტს დაევალა მომზადდეს კანონმდებლობის საჭირო ცვლილებათა ბეგმი, ეკონომიკურ კომიტეტს — შეიმუშაოს ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის სფეროში მორიგებათა რეალიზაციის გრაფიკი, ფინანსთა მინისტრს — დააზუსტოს ამისათვის საჭირო ხარჯები.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა აგრეთვე კანონპროექტი აღმასრულებელი აქტების გამოცემის უფლების შეცვლის შესახებ. ცენტრალური ორგანოების ფუნქციონირების ახალი პრინციპების შესაბამისად მინისტრთა საბჭო არის კოლეგიალური შტაბი, რომელიც იღებს ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ! ეს გადაწყვეტილებები ეხება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მის თავდაცვითუნარიანობას, უშიშროებას, საერთაშორისო ურთიერთობას, კანონის დაცვასა და მოქალაქეების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას. ამავე დროს ფართოვდება და ზუსტდება ცალკეულ სამინისტროთა კომპეტენციები, უზრუნველყოფილი ხდება მათი მთლიანი პასუხისმგებლობა მთავრობისა და სეიმის წინაშე მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. უფლებამოსილების დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვანწილად გაამარტივებს ცენტრალური მმართველობის სისტემას, მინისტრთა საბჭოს აღარ ეშება საჭიროება განიხილოს მრავალი წვრილმანი საკითხი.

◆ იუგოსლავია

მხოლოდ ერთობის პირობებში

ბელგრადი. ორშაბათს გამართული იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომის მონაწილეებმა განიხილეს ვითარება ქვეყანაში და, მისი გავლენა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე.

აქ გამართულ სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კოსოვოს. მის პრობლემებს, აღნიშნა პრეზიდიუმმა, საერთოიუგოსლავური ხასიათი აქვს. კოსოვოს პრობლემათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყანაში მცხოვრები ყველა ხალხისა და ეროვნების, ყველა რესპუბლიკისა და ავტონომიური მხარის, ორგანოსა და დაწესებულების სრული ერთობის პირობებში. ამ ავტონომიურ მხარეში ვითარების რაც შეიძლება სწრაფად მოწესრიგების მიზნით იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანაბამად მიღებული განსაკუთრებული ღონისძიებების განხორციელებაში მიღწეული შედეგების მიუხედავად, უნდა გააქტიურდეს იდეურ-პოლიტიკური მუშაობა შრომითს კოლექტივებში, სკოლებში, მხარის მოსახლეობას შორის.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ **ბაღდადი.** ბაღდადში პირდაპირი რეისით თეირანიდან ჩამოვიდა ერაყელ ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა ჯგუფი 66 კაცის შემადგენლობით. ჯგუფს ახლდნენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლები. ირანის მხარემ სამხედრო ტყვეები გადასცა ერაყს ამ ორ ქვეყანას შორის გამართული სამშვიდობო მოლაპარაკების დროს წინათ მიღწეული მორიგების შესაბამისად. ამჟამად ერაყს დაუბრუნეს დაახლოებით ათასი კაცი. საერთო ანგარიშით კი ირანმა უნდა დაბრუნოს 1158, ერაყმა კი — 411 სამხედრო ტყვე.

◎ **ანკარა.** თურქეთი აპირებს მოაგვაროს „სტინგერ“ ამერიკული საზენიტო რაკეტის კომპონენტების წარმოება, განაცხადა აქ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. როგორც მან თქვა, რაკეტას, რომელიც, ამჟამად ითვლება გადახატანი საზენიტო იარაღის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ სახეობად, აწარმოებს საერთაშორისო კონსორციუმი თურქეთის, ჰოლანდიის, საბერძნეთისა და დასავლეთ გერმანიის კომპანიების შემადგენლობით.

◎ **ვენა.** ავსტრიის ეკონომიკის მინისტრი რობერტ გრაფი, რომელიც კოალიციურ მთავრობაში წარმოადგენს ავსტრიის სახალხო პარტიას, გადადგა. ამ ნაბიჯის დასაბუთებისას, მან განაცხადა, რომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო პირადი გარემოებების გამო და იგი არ არის დაკავშირებული ავსტრიის სახალხო პარტიაში გაჩაღებულ დისკუსიასთან პარტიაში საკადრო გადაადგილებების შესახებ.

თანამშრომლობა

საბჭოთა სპეციალისტები მენეჯერთა სკოლაში

ჰერმუტაინი. (ავსტრია) მმართველობის საერთაშორისო ინსტიტუტი განლაგდა ხაოცარი არქიტექტურის ძველებურ ციხე-კოშკში. აქ გახსნილი მენეჯერთა საერთაშორისო სკოლის მერხებს მიუჯდა სხვადასხვა პროფილის 15 საბჭოთა სპეციალისტი.

საბჭოთა ხელმძღვანელი კადრები, თქვა მენეჯერთა სკოლის დირექტორმა ჰელგა შტატლერმა, გაეცნობიან მენეჯმენტისა და მარკეტინგის უახლეს პრინციპებს, მიიღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართონ ყველაზე უფრო ეფექტიანად საექსპორტო საქმეები, დაიფინანსონ საგარეო ეკონომიკური საქმიანობა. სკოლის თავისებურებაა ის, რომ მეცადინეობაზე განიხილავენ არა აბსტრაქტულ, არამედ რეალურ პრობლემებს, რომლებსაც წაიწყდა ან წაიწყდება ესა თუ ის მსმენელი. გარდა ამისა, აქ ასწავლიან პარტნიორებთან „ეკონომიკური ურთიერთობის“ ხელოვნებას, ითვალისწინებენ, რომ იგი წარმატების ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც პროფესიული ცოდნა.

მეცადინეობა, აღნიშნა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ავსტრიის ეკონომიკის ფედერალური პალატის სოციალისტური ქვეყნების განყოფილების უფროსმა გეორგ კანისიუსმა, წარიმართება დაძაბული რიტმით: 9-დან 9-საათამდე, რადგან თუ მუშაობაა — მუშაობა იყოს. მნიშვნელოვანია ის, რომ გათვალისწინებულია არა მარტო სემინარები, არამედ პრაქტიკაც, რომელსაც საბჭოთა სპეციალისტები გაივლიან წამყვან ფირმებსა და ბანკებში. ალბათ, ერთადერთი სირთულეა ის, რომ მსმენელები საკმაოდ არათანაბრად ფლობენ გერმანულ და ინგლისურ ენებს, რომლებზედაც მიმდინარეობს სწავლება. რა თქმა უნდა, არიან თარჯიმნები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ უშუალო აღქმის შეცვლა. და მაინც დარწმუნებული ვართ, რომ პროგრამა მთლიანად შესრულდება.

უნდა აღინიშნოს, თქვა შემდეგ მან, რომ საბჭოთა სპეციალისტები წარმოადგენენ სსრ კავშირის ინდუსტრიის არა მარტო ცალკეულ დარგებს, არამედ სხვადასხვა რეგიონებსაც. დავუშვათ, არა მარტო მოსკოვს, არამედ ბელორუსიას, ყაზახეთსაც. ეს შეესაბამება გარდაქმნის, ეკონომიკის დეცენტრალიზაციისა და მისი ეფექტიანობის ეტაპებს. წარმატებას ვუსურვებთ საბჭოთა კოლეგებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

კონსულტაციები გრძელდება

◆ **ნიუ-იორკი. ორშაბათს აქ გაგრძელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრთა კონსულტაციები, რომელთა დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა გამოაცხადა უკანასკნელი ორი დღე-ღამის განმავლობაში ნამიბიაში ცეცხლის შეწყვეტის აღდგენისა და უშიშროების საბჭოს 435-ე რეზოლუციის შესრულებისათვის მიღებული ღონისძიებანი.**

მოლაპარაკება ჩაიშალა

პარიზი. საფრანგეთის კორსიკის კუნძულზე სახელმწიფო მოსამსახურეთა გაფიცვის მერვე კვირის დაწყება აღინიშნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მიშელ როკარის გადაწყვეტილებით შეეწყვიტა მოლაპარაკება პროფკავშირებსა, კორსიკის ორი დეპარტამენტის პრეფექტებს შორის, რომლებიც მთავრობას წარმოადგენდნენ. ერთ-ერთ პრეფექტს დაევალა ჩამოსულიყო პარიზში და გაეცნო პრემიერ-მინისტრისათვის შექმნილი ვითარება.

როგორც საფრანგეთის პრესა თვლის, ეს მოლაპარაკება პრაქტიკულად დაწყებისთანავე ჩასაფუშად იყო განწირული მხარეებს შორის შეურიგებელი უთანხმოების გამო. პარიზი გადაჭრით უარყოფს დააკმაყოფილოს საგაფიცავო მოძრაობის მონაწილეთა მოთხოვნები. ისინი მოითხოვენ მიიღონ კორსიკის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის უსწრაფესი დაძლევის სასწრაფო ზომები, შემოიღონ ხელფასის სპეციალური დანამატები, რომლებიც აანაზღაურებენ კუძულზე ცხოვრების სიძვირეს კონტინენტთან შედარებით.

შემთხვევა

შეჯახება ზღვაში

◆ **რომი. ხულ ცოტა 14 მეზღვაურის სიცოცხლე შეიწირა ადრიატიკის ზღვაში თბომავალ „დეკალისა“ და სავაჭრო გემის „ხელინის“ შეჯახებამ. ორივე გემი ეკუთვნის თურქეთის სანაოსნოს. შეჯახების მიზეზი გახდა ხელი ნისლი, რომელიც უეცრად ჩამოწვა ხუთ საზღვაო მილზე პელაგოსის კუნძულიდან და გაართულა მაშველ-ვერტმფრინავების მფრინავთა საძიებო ოპერაცია. როგორც ანსას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მილებით დაბეგრილი თბომავალი ჩაიძირა. ეკიპაჟის ნაწილმა მოახერხა გადარჩენა.**

12 აპრილი კოსმონავტიკის დღე
ავიაციისა და კოსმონავტიკის მსოფლიო დღე

ახლადგენილი „ქართული ანბანი“

● **საქართველოს** კულტურის ფონდმა დიდებული საქმე წამოიწყო: იმ ძველი, იშვიათი და უნიკალური გამოცემების აღდგენა და გამრავლება, რომლებსაც რელიკვიური, მეცნიერულ-მხატვრული ღირებულება აქვს. ამჯერად კულტურის ფონდის ძველ და იშვიათ გამოცემათა აღდგენა-გამრავლების სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატიული გაერთიანება „ძველი წიგნის“ სარედაქციო-საგამომცემლო სახჭომ მკითხველს შესთავაზა 1629 წელს რომში გამოცემული პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ დედანთან დაახლოებული (ფოტოტიპური)

გამოშვება. წიგნის პირველი 8 გვერდი უჭირავს მხედრულ ანბანს, დანარჩენი — ლოცვებს, მრწამსს, ათ მცნებას, ღვთისმშობლის საგალობელს ქართულად, იგივე მასალა წარმოდგენილია ლათინურადაც ქართული ტრანსკრიპციით.

360 წელი გვაშორებს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის სათავეებს. პაპის ურბან VIII, იტალიელი მოღვაწეების აქილევს ვენერიოსა და სტეფანე პაოლინის რუდუნებით, რომში თეიმურაზ პირველის ელჩის ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) უშუალო მონაწილეობით. რომის სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება „პროპაგანდა ფიდეი“ სტამბაში ჩამოისხა პირველი ქართული შრიფტი და მზის სინათლე იხილა პირველმა ნაბეჭდმა ძეგლებმა „იბერიული ანუ ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და ლათინურიდან ირბახის მიერ თარგმნილი „ლიტანია ლაურეტანა“ („ვედრება მარიამისადმი“). ეს და 1643 წელს გამოცემული მარია მაჯოს „ქართული ენის გრამატიკა“ სათავეს უდებენ ევროპაში ქართველოლოგიურ მოღვაწეობას. აქედან იწყება ჩვენი ბეჭდური ანბანის, ქართული ბეჭდური სიტყვის ისტორია.

აღდგენილი წიგნის საზოგადოებრივი რედაქტორია პროფესორი **თენგიზ ბუაჩიძე,** რედაქტორი — **დავით ციციშვილი.** წიგნი გამოსაშვებად მომაზადა და საცნობარო ბარათი დაურთო **გიზო ჭელიძემ.** იგი მშვენიერი საჩუქარია ქართველი მკითხველისათვის, ყველა წიგნის მოყვარულისთვის („კომუნისტის“ კორ.).

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ზოგან ხანმოკლე წვიმა, მაღალმთიანეთში ზვავი, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 7-12, დღისით 20-25, ზღვისპირეთში — 14-19, მთაში — ღამით 4-9, დღისით 20-25, მაღალმთიანეთში — ღამით 0-5, დღისით 12-17 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში: ზოგან ხანმოკლე წვიმა, ელვექი, ტემპერატურა — ბარში ღამით 8-13, დღისით 18-23, მთაში ღამით 5-10, დღისით 16-21, მაღალმთიანეთში — ღამით 0-5, დღისით 11-16 გრადუსი.

თბილისში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა — ღამით 11-13, დღისით 21-23 გრადუსი.

რედაქტორი

ნ. ჩერკეზიშვილი.

ოფიციალური ცხრილი

მომგებიანი ანაბრების მოგებათა 93-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. რუსთავში 1989 წლის 1 აპრილს.

მოგება ხვდა საქართველოს სსრკ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა % პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა % პროცენტებით
3—36	25%	3—538	25%
3—65	25%	3—580	25%
3—87	25%	3—607	50%
3—156	25%	3—670	25%
3—183	25%	3—687	25%
3—233	25%	3—750	25%
3—278	200%	3—763	25%
3—287	25%	3—833	50%
3—355	100%	3—877	25%
3—394	25%	3—900	25%
3—437	25%	3—955	25%
3—475	25%	3—977	100%
3—504	25%	3—	

შენიშვნა: თუ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანგარიშების რიცხვი 1000-ს აღემატება, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. 3—36, 3—1036, 3—2036, 3—65, 3—1065, 3—2065 და ასე შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე — ქ. რუსთავის საქალაქო სახჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ს. დ. ტოპრაკაძეშვილი.

თავმჯდომარის მოადგილე — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დანაზოგების, სესხების, ლატარიისა და ფასიანი ქაღალდების გავრცელების ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ბ. ბოლოთაშვილი.

პასუხისმგებელი მდივანი — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საშემნახველო საქმის განვითარებისა და სრულყოფის განყოფილების უფროსის მოადგილე
ზ. ვ. ჩიტალაძე.

ოფიციალური ცხრილი

ფულისა და ნივთების მომგებიანი ანაბრების მოგებათა XI ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. რუსთავში 1989 წლის 1 აპრილს.

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა % პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა % პროცენტებით
3—25	25%	3—540	25%
3—62	25%	3—566	25%
3—82	25%	3—620	100%
3—156	25%	3—652	25%
3—176	25%	3—707	25%
3—213	25%	3—747	200%
3—265	25%	3—767	25%
3—303	25%	3—838	25%
3—326	50%	3—844	25%
3—387	50%	3—898	25%
3—405	25%	3—950	100%
3—456	25%	3—975	25%
3—495	25%	3—	

შენიშვნა: თუ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ანგარიშების რიცხვი 1000-ს აღემატება, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. 3—25, 3—1025, 3—2025, 3—62, 3—1062, 3—2062 და ასე შემდეგ.

მეანაბრეს შეუძლია მის ანგარიშზე მოგებული თანხის საშუალებით შეიძინოს ჩამონთვალში აღნიშნული საქონელი, რომლის ღირებულება 25 პროცენტით მეტია მის ანგარიშზე ხვედრილი მოგების თანხაზე.

№№	ნივთმოგებათა დასახელება	ღირებულება
1.	„ავტომანქანა „ჟიგული“ ვაზ-21063“	9000
2.	ავტომანქანა „ჟიგული ვაზ-2108“	8400
3.	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2000
4.	მაცივარი „მინსკი“	455
5.	ელექტროხორცსაკეპი	25
6.	ელექტრომიქსერი	20
7.	ყავის ელექტროსაფქვავი	14

კომისიის თავმჯდომარე — ქ. რუსთავის საქალაქო სახჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ს. დ. ტოპრაკაძეშვილი.

თავმჯდომარის მოადგილე — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის დანაზოგების, სესხების, ლატარიისა და ფასიანი ქაღალდების გავრცელების ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე
ვ. ბ. ბოლოთაშვილი.

პასუხისმგებელი მდივანი — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საშემნახველო საქმის განვითარებისა და სრულყოფის განყოფილების უფროსის მოადგილე
ზ. ვ. ჩიტალაძე.

მეცნიერთა ჰიპოთეზის კვალდაკვალ

ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა არქტიკის აუზის თავზე ატმოსფეროს გამოკვლევის სამეცნიერო პროექტი. ექსპედიციაში, რომელიც მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცისკვლევის ეროვნულმა სამმართველომ, მონაწილეობდა 150 მეცნიერი, მეტწილად ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ნორვეგიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. ბევრი მათგანი 1987 წელს ანტარქტიკის თავზე „ოზონის ხვრელს“ სწავლობდა. მაშინ ისინი დარწმუნდნენ, რომ ატმოსფერული მოვლენები სამხრეთ და ჩრდილოეთ პოლუსების თავზე ერთმანეთს ჰგვანან.

ცნობილი სადაზვერვო თვითმფრინავის უ-2 მოდერნიზებული ვარიანტის გამოყენებით მეცნიერები ცდილობდნენ დაედგინათ: ილება თუ არა ოზონი არქტიკის თავზე. დიდ სიმაღლეზე ასვლისას უ-2-მა გამოიყენა სპეციალური აპარატურა ოზონის შესაკრებად და ანალიზისათვის. ნორვეგიის სულას სამხედრო-საჰაერო ბაზიდან მიღებული პირველი მონაცემებით, საიდანაც ფრენა ხორციელდებოდა, „ოზონის ხვრელი“ ჩრდილოეთ პოლუსზე თითქოს არ არსებობს. თუმცა იქვე მეცნიერები დასძენენ: „ჯერჯერობით არ არსებობს“... საიდან მომდინარეობს ასეთი დასკვნა?

საქმე ის გახლავთ, რომ ათი წლის წინათ ინფორმაცია ანტარქტიკის ატმოსფეროს მდგომარეობის შესახებ სპეციალისტებმა უბრალოდ ვერ დაიჭერეს, ხოლო ანომალია დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრზე დადგმული ზელსაწყოთის ხარვეზებით ახსნეს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ორბიტიდან მოვიდა შემაშფოთებელი ცნობები: ოზონის კონცენტრაცია ანტარქტიდის თავზე შემცირდა, ხოლო ეგრეთ წოდებული „ოზონის ხვრელის“ საზღვრები გაფართოვდა.

ეს ტენდენცია ამჟამადაც შენარჩუნებულია; „ხვრელი“ ანტარქტიდაში თავისი ფართობით ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას აღემატება. მისი საზღვრები ფართოვდება ავსტრალიის, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის მიმართულებით... რატომ ჩრის შემაშფოთებელი ეს ტენდენცია?

ჟანგბადის ატომებისაგან შემდგარი ოზონი განლაგებულია მოცისფრო გაზის სახით 10-დან 50 კილომეტრამდე სიმაღლეზე, რომლის მაქსიმალური კონცენტრაცია აღინიშნება 20-25 კილომეტრზე: ოზონის ფენა დედამიწაზე იცავს ცოცხალ ორგანიზმებს მზის მოკლეტალღოვანი ულტრაიისფერი რადიაციის დამანგრეველი გავლენისაგან. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე სწორედ ოზონის ფენის არსებობის წყალობით ჩაისახა.

უკვე რამდენიმე წელიწადია მეცნიერები აფრთხილებენ, რომ ქლოროფთორშემცველ ნაერთებს, რომლებსაც შეიცავს ადამიანის მიერ შექმნილი მრავალი საგანი — აეროზოლებით დაწყებული და მაცივარ-კონდიციონერებით დამთავრებული — შლიან ოზონის ფენას. მაგალითად, ოზონისფეროს დამანგრეველი გაზი ფრეონი შეიძლება ატმოსფეროს ზედა ფენებში შენარჩუნებული იყოს 80 წლამდე.

მოწყობილი კვლევის შედეგები მოწმობს, რომ დედამიწის ოზონის ფენის გამოფიტვა გამოიწვევს კანის კიბოს დაავადებათა რიცხვის ზრდას, მხედველობის გაუარესებას (კატარაქტს), მრავალი სახეობის მცენარის მოსპობას და, საბოლოო ანგარიშით, კვების ბუნებრივი ჯაჭვის დარღვევას. ძნელია იმის წარმოდგენაც კი, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს „ოზონის ხვრელის“ ზემოქმედებას, მაგალითად, პლანეტის ეკვატორიულ რაიონებში, სადაც მზის სხივები დედამიწის ზედაპირისაკენ თითქმის ვერტიკალურად არის მიმართული. არადა მათი ზემოქმედება ანტარქტიდაში გაცილებით ნაკლებია, ვინაიდან იქ მზის სხივები ასე ვთქვათ, ცრად ეცემა.

ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის ისტორია სამ მილიარდ წელზე მეტს ითვლის. მაგრამ მხოლოდ ბოლო ათწლეულებში ადამიანმა იმდენი ტყე გაჩეხა, რომ მას ლამის აღარ შეუძლია ჟანგბადის ბალანსის აღდგენა; ადამიანმა იმდენი თევზი და ზღვის ცხოველი გაწყვიტა, რომ ეჭვს არ იწვევს მათი ჭერის დასაშვები ზღვარის დადგენა; ადამიანმა ისე „დაიმორჩილა“ ‹დინარეებ› და გააჭუჭყიანა ტბები, რომ ჩვენს წინაშე დადგა მტკნარი წყლის პრობლემა; იმდენი მაზუთია ჩაღვრილი ოკეანეში, რომ გემის ტრალებში იგი უფრო მეტი ხვდება, ვიდრე თევზი; ადამიანმა ისე გაავსო კუპრით ატმოსფერო, რომ დიდ ქალაქებში დროა აირწინაღები ჩამოიცვან, ხოლო მეკვური წვიმებისაგან თავს ვერსად აფარებენ. და აი, ახლა ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ თურმე, ადამიანს „ცის კამბოდნი ისე გაუხვრეტია“, რომ თვითონ მალე შეიძლება მომაკვდინებელი სხეულის შიშველი ნაწილები არ დაიცავთო, ჩნდება ძლიერი, ხანგრძლივად შეუხორცებელი დამწვრობა, ხოლო ტუჩებზე — ღრმა ბისნლიანი წყლულები. ამავე დროს ექსპერიმენტული გზით ჯერჯერობით შესწავლილი არ არის კოსმოსიდან „ხვრელის“ მეშვეობით შემოღწეული ულტრაიისფერი სხივების ადამიანზე ხანგრძლივი ზემოქმედება.

ანტარქტიდის თავზე „ოზონის ხვრელის“ გამოკვლევის შედეგად მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ატმოსფეროს ზედა ფენებში დაგროვილი ოზონის ჟანგეულები, რომლებიც შლიან ოზონის ფენას, ჰაერის ნაკადების მუდმივი დინებით მიიწევენ პლანეტის პოლუსებისაკენ. მასასადამე, დედამიწის ჩრდილოეთის „ქუდის“ თავზეც უნდა არსებობდეს „ოზონის ხვრელი“. ეს ვარაუდი კანადელმა მეცნიერებმაც წამოაყენეს. ინგლისელ კვლევაართა მონაცემებით, მარტო 1970 წელს ოზონის ფენა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს თავზე 6 პროცენტით შემცირდა. ხოლო როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, ოზონის ფენის თუნდაც ერთ-პროცენტიანი დაშლა მზის ულტრაიისფერი რადიაციის დამღუპველ შემოღწევას იწვევს.

ამრიგად, არის თუ არა საბოლოო ის დასკვნა, რომ არქტიკის თავზე „ოზონის ხვრელი“ არ არსებობს? ერთი მხრივ, არ არსებობს საფუძველი ექვი შეეტანოთ ჩატარებული კვლევის შედეგებში. ამავე დროს ცნობილია, რომ არც ისე იოლია „კოსმოსში სარკმლის“ აღმოჩენა. ძნელია თუნდაც იმიტომ, რომ არსებული მონაცემებით, „ხვრელი“ ატმოსფეროში ჩნდება ეპიზოდურად და არ არსებობს მუდმივად. მაგალითად, ანტარქტიდაში ატმოსფეროს ზედა ფენების მხოლოდ რამდენიმე წლის შესწავლის შემდეგ მოხერხდა იმის დადგენა, რომ იგი უპირატესად ოქტომბერში ჩნდება. ასეა თუ სხეულის შიშველი ნაწილები არ დაიცავთო, ჩნდება ძლიერი, ხანგრძლივად შეუხორცებელი დამწვრობა, ხოლო ტუჩებზე — ღრმა ბისნლიანი წყლულები. ამავე დროს ექსპერიმენტული გზით ჯერჯერობით შესწავლილი არ არის კოსმოსიდან „ხვრელის“ მეშვეობით შემოღწეული ულტრაიისფერი სხივების ადამიანზე ხანგრძლივი ზემოქმედება.

ანტარქტიდის თავზე „ოზონის ხვრელის“ გამოკვლევის შედეგად მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ატმოსფეროს ზედა ფენებში დაგროვილი ოზონის ჟანგეულები, რომლებიც შლიან ოზონის ფენას, ჰაერის ნაკადების მუდმივი დინებით მიიწევენ პლანეტის პოლუსებისაკენ. მასასადამე, დედამიწის ჩრდილოეთის „ქუდის“ თავზეც უნდა არსებობდეს „ოზონის ხვრელი“. ეს ვარაუდი კანადელმა მეცნიერებმაც წამოაყენეს. ინგლისელ კვლევაართა მონაცემებით, მარტო 1970 წელს ოზონის ფენა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს თავზე 6 პროცენტით შემცირდა. ხოლო როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, ოზონის ფენის თუნდაც ერთ-პროცენტიანი დაშლა მზის ულტრაიისფერი რადიაციის დამღუპველ შემოღწევას იწვევს.

ამრიგად, არის თუ არა საბოლოო ის დასკვნა, რომ არქტიკის თავზე „ოზონის ხვრელი“ არ არსებობს? ერთი მხრივ, არ არსებობს საფუძველი ექვი შეეტანოთ ჩატარებული კვლევის შედეგებში. ამავე დროს ცნობილია, რომ არც ისე იოლია „კოსმოსში სარკმლის“ აღმოჩენა. ძნელია თუნდაც იმიტომ, რომ არსებული მონაცემებით, „ხვრელი“ ატმოსფეროში ჩნდება ეპიზოდურად და არ არსებობს მუდმივად. მაგალითად, ანტარქტიდაში ატმოსფეროს ზედა ფენების მხოლოდ რამდენიმე წლის შესწავლის შემდეგ მოხერხდა იმის დადგენა, რომ იგი უპირატესად ოქტომბერში ჩნდება. ასეა თუ

არის თუ არა „ოზონის ხვრელი“ არქტიკაში?

ტელეფონები: 93-72-01, 93-72-02, 93-72-03

ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ

როგორც თბილისის პირველი მაისის» რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების პირველ ქვეგანყოფილებაში გვაცნობეს, 11 აპრილის ნაშუადღეზე 6 ახალგაზრდისაგან შემდგარი ჯგუფი მივიდა „სოციუბეჰატის“ ერთ-ერთ კიოსკთან და მოითხოვა მისი ბახურვა. კიოსკიორი, რომელსაც შეეშინდა, ვაითუ მუქარა შეასრულონო, მოთხოვნას დაემორჩილა. შემდეგ იგივე ჯგუფი აფერხებდა საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობას. ამის გამო ექვსივე მიიყვანეს განყოფილებაში, საიდანაც მათი მოქმედების შესახებ შედგენილი ოქმი სახალხო სასამართლოს გაუგზავნეს.

პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება შემდეგი მოქალაქეების მიმართ: ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის თანამშრომელს ვასილ ტაბუაშვილს — დაეკისრა ხელფასის 20 პროცენტის დაკავება ორი თვის, განმავლობაში; კენოსტუდიოა „ქართული ფილმის“ მუშას, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათსაშენებელი ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტს გიორგი კაჭრიშვილს — ხელფასის 20 პროცენტის დაკავება ერთი თვის განმავლობაში; მოდელების სახლის მეწაღეს შამილ ხუდოიანს — ერთი თვის გამასწორებელი სამუშაოება; ლიმონათის ქარხნის მეგაზეს ნოდარ ჯაშიაშვილს — 50 მანეთი ჯარიმა; თეთრიწყაროს ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშეს გიორგი ჯოგაძეს — 30 მანეთი ჯარიმა; თბილისის № 80 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე დავით ტატურაშვილი დაჯარიმებულია 30 მანეთით მილიციის ბელადენის ხელმძღვანელობის მიერ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ Რ